

საქართველოს პრეზიდენტის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 295

1999 წლის 30 აპრილი

ქ. თბილისი

ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოში ბოლო წლებში წარმოშობილი რეგიონული კონფლიქტების შედეგად შეილახა მრავალი ადამიანის უფლებები, რამაც აიძულა ისინი მიეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები.

საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად მხარს უჭერს ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა თავდაპირველ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო დაბრუნებას, მათი საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენასა და დაცვას მიუხედავად მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური ორიენტაციის, რასის, ასაკის, სქესის, განათლებისა და ა.შ.

საქართველოს ხელისუფლების ამგვარი პოზიცია და მტკიცე პოლიტიკური ნება არაერთგზის დაფიქსირდა მაღალი რანგის საერთაშორისო, მათ შორის გაეროს და ეუთოს ეგიდით მოწყობილ ფორუმებზე.

გაერო, ეუთო, ვეროსაბჭო, სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა იწონებს და აქტიურად მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლების ამ პოზიციას. საბინაო სამართლის საერთაშორისოდ აღიარებული ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ფუნდამენტური გამოკვლევა საქართველოში ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვის პრობლემების შესახებ, შემუშავებულ იქნა პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნორმატიული ვაკუუმის შევსების თაობაზე. ამ პროცესის დასკვნით ფაზას წარმოადგენდა 1998 წლის 17 სექტემბერს ეუთოს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და ევროპის საბჭოს მიერ თბილისში მოწყობილი მრგვალი მაგიდა ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებათა შესახებ, რომელზეც მიღწეულ იქნა შეთანხმებანი, და აისახა შესაბამის ოქმში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე:

1. მიღებულ იქნეს ცნობად 1998 წლის 17 სექტემბრის მრგვალ მაგიდაზე ხელმოწერილი ოქმის დებულებები.

2. ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებათა შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი თანდართული სიის მიხედვით.

3. სამუშაო ჯგუფმა:

ა) სამ თვეში შეიმუშაოს რეკომენდაციები ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და მოამზადოს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები;

ბ) წარმართოს მუშაობა ეუთოს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა და ევროპის საბჭოსთან კოორდინირებულად, რისთვისაც მოიწვიოს მათი წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად;

გ) როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური თუ საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოტენციალის უკეთ გამოყენების მიზნით საჭიროებისამებრ მოიწვიოს მათი წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

4. სამუშაო ჯგუფის ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაევალოს ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირად წარმომადგენელს ი. მაჭავარიანს.

ე. შევარდნაძე